# თეატრი

გაზეთი ღირს:
ერთის წლით—5 მ. ნახევარ-რის წლ.—3 მ. ცალკე №-რი 10 კ.
ხელის მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, въ контору „Театръ.“

№ 1

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.
გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდეთ მოწერილი, სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

ორშაბათი 1 იანვარი. 1885—1890 ორშაბათი 1 იანვარი.

ვინც იანვარში «თეატრს» დაიკვეთავს, იმას გაეგზავნება, დაკა-რიგულ წიგნების გარდა ახალი კალენდარი ან „საერო კალენდარი“ სურათებიანი, გამოცემული გ. ჩარკვიანის და ფანცხავას წიგნის მაღაზიისაგან.

გაზეთებიდგან ამოვიკითხეთ ერთი მეტად სამწუხარო ამბავი. ბატ. ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილს სოფ. წინამძღვრიანთ-კარში დასწვია სახლი, სადაც მოთავსებული იყო ამ სოფლის სამიურნეო სკოლის მასწავლებლებისა და სხვა მოსამსახურეთა ბინა.

ქართველმა კაცმა იცის, ვინ არის ილია წინამძღვრიშვილი, რა სამსახური და ღვაწლი მიუძღვის მას მშობელი ქვეყნის წინაშე და ჩვენ მიერ სიტყვას გაუგრძელებლადაც, დარწმუნებული ვართ, თვითოეული ჩვენგანი შემწეობის ხელს გაუშვერს ამ პატიოსანს და უანგარო საზოგადო მოღვაწეს. ვისაც კი გულში უღვივის წრფელი და წმინდა სურვილი თანაგრძნობისა, ვისაც კი შეუძლია წარმოადგინოს საზოგადო მოღვაწის მწარე მდგომარეობა ამ ჩვენს გათახსირებულს დროში, იგი, უეჭველია, არ დაიშურებს და დაეხმარება ამ სამწუხარო მდგომარეობაში.

გაზეთი თეატრი, თავის მხრივ სწირავს [illegible]ველი თვის განმავლობაში ნახევარ შემოსავალს, რაც შეედგება ცალკე ნომრების გასყიდვიდამ.

თბილისი 31 დეკემბერი.

„თეატრს“ ბედმა გაუღიმა, ახალი ხანა დაუდგა: ბევრმა საუკეთესო ჩვენმა მწერალმა აღუთქვა თანამშრომლობა და ნივთიერი წყაროც აღმოუჩნდა. მართალია, აქამომდე „თეატრი“ ცოტა პირნათლად ვერ გამოდიოდა საზოგადოებასთან მაგრამ არც თუ საზოგადოებისაგან ეთქმის დიდი საყვედური. ერთი-ორი კაცი, რა გონების, გრძნობის და ქონების პატრონიც უნდა იყოს, ვერ გაუძლებს ამისთანა ძნელ საქმეს. ეხლა კი, როდესაც გარემოება შეიცვალა, ჩვენც, უეჭველია, მხნეობა მოგვემატება, უფრო მსუბუქად ამოვისუნთქავთ და წყნარად, სიფრთხილით ვადევნებთ თვალს ჩვენს ეროვა-ცხოვრებას.

ვიცით, რომ კიდევ დიდი გაჭირვება უნდა გამოვიაროთ, ბევრი კილვა-დაცინვა და დევნა ავიტანოთ, მაგრამ ეს არ გვაშინებს, რადგანაც წელში ცოტად გავიმართეთ. აღვიჭურვებით მოთმინებით და სულ-გრძელობით, მოვიკრებთ ძალ-ღონეს და კიდევ ვსცდით: ჩვენ, ინტელიგენციას—რო გვეძახიან, შევძლებთ ჩვენს სულსა და გულს ჩვენისავე შრომით საზრდო მოვუპოვოთ და ცოტაოდენი ჩვენს—ხალხსაც მივაწოდოთ, თუ არა?

ჩვენა ვგრძნობთ, რომ ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში ჯერ არ გამქრალა ცხოვრების ძალა, და, თუ აქამდის თავი ვერ იჩინა, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ დღემდის გარემოება ხელს არ უწყობდა.

მტკიცედ გვჯერა, რომ რიგიანი, თავ-დაჭერილი გაზეთი ანუ ჟურნალი ჩვენში ფეხს მოიმაგრებს, თუ მივხვდით და მივყევით დროის მოთხოვნილებასა.

გვსურს გულ-მოდგინეთ ვემსახუროთ სამშობლო ლიტერატურას, შევსწიროთ დრო, შრომა, ქონება და სახელიც-კი, თუ მეტი ღონე აღარ იქნება.

პროგრამა ჩვენი ვრცელი არ არის: სადი ჭკუა და წრფელი გული. ვისაც ორივე ან ერთ-ერთი მოეპოვება—ჩვენი თანამშრომელიც და მეგობარიც ის არის. ვინც არც ერთს არ ეწყობა, ის არც ჩვენ შევიწყნარებს.

## ღმერთო!

ღმერთო ტკბილად შეარგეო
გლეხ-კაცს თავის მონაგარი,
უკურთხევი მინდორ-ველში
მოხნული და მონაბარი,
უკურთხევი ბარი, წალდი,
თოხი, ნამგალ-საჭრეთელი,
კალო, ცული, ფარცხი, ეხო,
სახნისი და საკვეთელი.
უკურთხევი ფოცხი, ხვედა,
ორთით-არნად და ფიწალი...
გაუღვიძე სწავლის გრძნობა,
შეაძაგე კაცში, კალი.

—

თეატრსაც ნუ დაივიწყებ,
ემმენ მცველად და მფარველად:
ახალი რამ დაგვანახვონ,
ძველი დარჩეს ისევ ძველად,
ნურას გაიმეორებენ,
რაც გვაქსუებს და გვგვრის ძილსა,
მოგვცენ რამ ახმიზლებს ჭკუას,
არის მწვრთნელი კაცთა ზნისა.

—

## ფელეტონი

### სურათი „პატარა კახიდამ“.

(ტყიდგან გამოდის პატარა კახი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით).

პატარა კახი

ძლივს მარტო დავრჩი!.- ოჰ, რა კარგია
სიმშვიდის ნიჭი, თავისუფლობა!
რად მინდა, რომ ვარ ბატონის შვილი
და რაღათ მიღირს უფლის წყალობა,
თუ ჩემს ნებაზე ბიჭსაც ვერ გავდგამ?
უნდა მივსდიო ქვეყნის მაცდურ ხმას!.
მერმე უღელი დავსდვა ჩემ სიყრმეს
და შევაკვეცო ფრთები გულის თქმას!!
(შორიდამ სალამური მოისმის)
ჩუ!... სალამური!. მწყემსია სწორეთ.
ჰა, სად არის ბედნიერება:
სცხოვრებს თავისთვის ბუნების შვილი
და გულს უსრულებს, რაც ენატრება,
(დადგება და ყურს უგდებს სალამურს)
ვაი, რა კარგია ეს სალამური!.-
როგორ იტაცებს გრძნობა-გონებას!...
სიამით ჰხიბლავს უსაზღვრო სურვილს
და აფერადებს მაცდურ-ოცნებას!!
მიგვაფრენს სადღაც ლაჟვარდ-უფსკრულში,
ედემის ვიდით შორეულ მხარეს
და აქ აერთებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს.
(დაფიქრდება და ყურს უგდებს სალამურს)
გამიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნევით დამუქრებული,
მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენი ქვეყნის
მწარე ამბავი და საჩივარი,
მაგრამ ამავ დროს, ეშმაკის სული,
დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,
გადაელეწოს, გადმოელეწოს
და მოეთხაროს სულ ძირიანა.
მერე ენახოს მწყემს წაქცეული,
ხელში აელოს პატარა დანა
და გამოეჭრა მას სალამური
რომ მოწყენის დროს სული ჩაბეროს,
და მთა და ბარის დასატკბობელად
აკვნესოს და აატიროს.
ეს უნდა იყოს ის მაცდური ხმა,
პირველ მწყემსისგან მოგონებული!
აქ ისმის ცის და ქვეყნის ამბავი
ერთად შეთხზული... შეზავებული!

აკაკი

Когда же минетъ это время,
Весь этотъ нравственный хаосъ?

არ ვიცი, ახალი წელიწადი რას უპირებს და უქადის განახლებულს „თეატრს“, მაგრამ ის კი ცხადია, რომ წინად კეთილი არა დამართვია-რა ამ ბედკრულს გაზეთს. სწორედ სასაცილოც არის და სამწუხაროც ამ გაზეთის თავგადასავალი: რამდენი ცვლილება და ვაი-ვაგლახი გამოიარა, რამდენჯერ ჰქმნა პირი სამარისაკენ და მერე ისევ, რაღაც ჯადოს წყალობით, მოსულიერდა, წელში გაიმართა და ტორტმანით სიარული დაიწყო, თითქო უნდა ეწვენებინა— „არა, გამოვცოცხლდი და მეც თქვენი ვარო!... რაც უნდა იყოს, „თეატრმა“ მაინც აქამდე გასძლო, ჭირსა და სენს გადაურჩა და შემდეგში რა ბედი მოელის, ამას ხომ მომავალი გვაჩვენებს.

— კეთილი და სასეირო არა იქნება-რაო, „თეატრი“ რა არის და იმისაგან რა სიკეთე გამოვაო, ღიმილით და დაცინვით იტყვის მკითხველი... რას იზამთ! ძნელია სახელისა და აზრის გატეხა, მეტადრე ჩვენში, სადაც იმედსა და სასოებას, ნუგეშსა და რწმენას ძალა დაუკარგავს და ბატონობა თითქო მარტო სასო წარკვეთილებას დარჩენია. დიაღ, ძნელია როცა რომელსამე საქმეს და დაწყობილებას ნდობა და პატივი დაეკარგება, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სახელისა და პატივის მეორედ შეძენა არ შეიძლებოდეს. ასე რო არ იყოს, მაშინ ხომ შეცდომის გასწორება შეუძლებელი იქმნებოდა, მაშინ ხომ დამნაშავე საუკუნოდ დაღუპილი უნდა ყოფილიყო!.. ჩვენდა სანუგეშოდ, ყოველთვის შეიძლება წამხდარს საქმესაც ეშველოს, შეიძლება კაცმა და დაქვეითებულმა გაზეთმაც შეიძინოს აზრი და პატივი, ფეხზედ წამოდგეს, ყელი მოიღეროს და მოხდენილად გაიაროს თავის ტოლ-ამხანაგობაში. საჭიროა პირველად ამისათვის წარსული შეცდომების შეგნება და მათი უარყოფა, მორჩილ-პატიოსნური შრომა, საქმეში ჩახედვა, წინ მხედველობა და ბევრი კიდევ სხვა რამე,-ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა!

დიაღ, უიმედობას და სასოწარკვეთილებას ზურგი უნდა შევაქციოთ და მომავალს გულადად უყუროთ. მხოლოდ საჭიროა კია, მიუკილებლად საჭიროა, შრომა და ჯაფა არ დავზოგოთ, და საქმე თავის თავად გაკეთდება...

მაინც არა გამოვა-რაო, ცო- ნიჭი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებს მიეც სიყვარული
სამშობლოსი და სწავლისა;
დაუკარგე ტრფიალება
მასკარადის და ბალისა.
შეაყვარე, ვინც გულით
არის სამშობლოს მსახური,
თავსუბუქი კავალრების
აღმოუფხვარ სიყვარული.

—

ვაჟნი კიდევ ნუ სთვლავენ
ცუდ-უბრალოდ ტროტუარებს,
თავის ხელით ნუ უკეტვენ
თვის სამშობლოს ბედის კარებს.
თუ-კი ამას ვერ ჰხედავენ,
მაშ რათ აძლევს ღმერთი გონსა?
ნუ მისდევენ, ნუ შვრებიან
საქმეს მტრისა მოსაწონსა.

—

რედაქციებს ჩააგონე,
მოერიდონ ხოლმე ჭორებს,
თორემ დღეში სუთჯერ სცემენ
ზოგიერთა რედაქტორებს.

—

დაუჯერე ცუდი დარი
ცრუ-პენტელა «ატუკატებს»
საქმე ჰქონდეთ მათთან მხოლოდ
თაგვებს მწყრებსა, მგლებს და კატებს!.

ბაყათარ.

30 დეკემბერი.

## ქართული თეატრი

მნელად მომხდარა, რომ ჩვენ თეატრიდამ გულ-ნათლად გამოვსულიყოთ. უწესოება, აქტიორებისაგან როლების უცოდინარობა და სუფლიორის ჭიფსვა, უნიჭობა და უმარილობა—აი რას გვიმღვნიდა ხოლმე ჩვენი დამატკბობელი და სულის განმანათლებელი თეატრი. შავი ფიქრის მეტი ჩვენს მოუხერხებლობაზედ, უგვარისობაზედ და უ...რობაზედ სხვა არა გვრჩებოდა-რა. სცდილობდით ერთი-ორი საუკეთესო არტისტის ხელოვნება გვხსოვნებოდა, დანარჩენი ამოგვეგდო გულიდან და გონებიდამ, მაგრამ საერთო შავი სურათი ანთობდა ბრწყინვალე სხივს ან მართლად მოგვაჩვენებდა.

სულ სხვას წარმოგვიდგენდა ჩვენი თეატრი სუთშაბათს საღამოს, წარსულ 28 დეკემბერს ცოტა არ იყოს, გაგვანათლდა გული და გაგვიცოცხლდა იმედი. თუ ისე სინიდისიერად დაიწყეს შრომა და მეცადინეობა ჩვენმა აქტიორებმა, როგორც ამ საღამოს ეტყობოდათ, სწორედ რომ ბევრს კარგს უნდა მოველოდეთ ჩვენის თეატრისაგან. ვერ გავარჩევდით, რომელი აქტიორთაგანი ბედნიერ ნიჭით არის აღჭურვილი და რომელს მხოლოდ შრომით მოუპოვებია ის, რაც მისთვის ბუნებას არა უხვად მიუნიჭებია. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთა აქტიორთაგანს, რომელსაც სხვა დროს კარგი პატრონი ცოცხს გაატანდა, ამ საღამოს ვერ იცნობდით. ჩვენ ამას ავხსნით აგრეთვე როლების მოხერხებულ განაწილებით. დასახელება არტისტებისა ეგრე საჭიროდ არ მიგვაჩნია და გაკვრით მოგახსენებთ. აბაშიძეს და ქ-ბ. საფაროვისას ქება არ უნდა, მეტადრე უკანასკნელს. გგონია, რომ ყველა როლი მხოლოდ მისთვის იწერება, ისე ერთგვარად გასაოცრად ასრულებს, რაც უნდა მიუთითოთ: გამოუცდელი გოგონა, წუნარი საპატარძლო, ან ახლად გათხოვილი, ჯერ სიყვარულით არ მოყიჯრებული ქალი, დამჯდარი დედა-კაცი და სხვა—სულ ერთნაირად ეხერხება ამ თეატრის მშვენებას. საზოგადოების განსაკუთრებითი ყურადღება მიიზიდა აგრეთვე ნიჭიერ არტისტმა ზ. გედევანიშვილმა.

თამაშეს: „ჟყალ-მაყალი კეთილ-შობილ ოჯახში" და „ბიძიასთან გამოხუმრება. ორივე ამ პიესის შინაარსი თითქმის ყველამ იცის. თუ ესე სინიდისიერად და ერთგულად მოექცა თეატრს ახალი პატრონი, უეჭველია ხალხის გულს ისევ მოიგებს თავის და ჩვენ სასიამოვნოდ.

სამწუხაროდ ქებას ვერ ვიტყვით ახალ ქართულ მომღერალთა დასის შესახებ. ტანისამოსი, დიაღ, ქართულსა ჰგავდა, მაგრამ სიმღერისა-კი რა მოგახსენოთ. ახალს „ლოტბარს" ჯერ ბევრი მეცადინეობა დასჭირდება, ვიდრე ჩვენი საზოგადოება ახალ დასსა ქართულს უწოდებდეს. კარგი ხმა, მართალია, ბევრი ურევია, ზოგს სიმღერის ცოდნაც ეტყობა, მაგრამ ჩვენობისა ჯერ არა გვპოვეთ-რა.

არ შეიძლება აქ ერთი კითხვა არ დავსვათ: რამ გამოიწვია მეორე მომღერალთა დასის შედგენა, ნუთუ ერთი არ გვეყოფოდა?

საყურადღებოა, რომ ვერც ერთს ჩვენ საქმეში თანხმობას და წესს ვერა ვპოვებთ. უთუოდ გამოერევა ერთი-ორი არა წმინდა და ხელს შეგვიშლის, სულ აურ-დაურევს. კარგა ხანია დაარსდა ქართული ხორო. პირველად, რასაკვირველია, სუსტი იყო, მერე თან და თან გაუმჯობესდა და ბოლოს დროს სწორედ სასიამოვნოდ შეიქმნა. აგი შუშურდა გამგებს ის კეთილი განძრახვა, რომელიც სუფევდა დასთ წევრთა შორის, და ჩამოაგდო შური და უთანხმოება. უმადურთა ქვეშევრდომთ უარ ჰყვეს მორჩილება პატრონისადმი და განდევნეს იგი, როგორც მუქთა-მჭამელი. წამოვიდა პატრონი და გამართა ახალი დასი, გადმოიყვანა ზოგი მველთაგანი და ამ რიგად წინანდელსაც ბევრი დააკლდა და ახალსაც არა შემატა რა. ეხლა, უეჭველად, გაიმართება ბრძოლა, დაუწყებენ ერთმანერთს პირიდგან ლუკმის გლეჯას და ერთმანერთს ამოიჭამენ. აზირებული ხალხია!

## სახაზინო თეატრი

ოპერა

### ურიის ასული

29 ამ თვისას იყო წარმოდგენილი ამ სცენაზედ რუსულად შესანიშნავი და ევროპაში დიაც ცნობილი ტრაგედია «ურიის ასული»

ჩვენ არას ვიტყვით იმაზედ, თუ როგორ ითამაშეს ეს პიესა არტისტებმა. ჩვენ გადავცემთ მკითხველს მოკლედ მხოლოდ ამ პიესის შინაარსს, რადგან ჯერ ერთი დიდებული შინაარსია ამ პიესაში, და მეორეც მიტომ რომ ჩვენ თავის დროზედ ამ პიესას, ქართულად თარგმნილს, დავბეჭდით და შევძენთ ჩვენს მკითხველებს.

აი მოკლედ ეს შინაარსი.

შემდგომ იოანე გუსის წამების კატოლიკნი დღესასწაულობენ ამ თავის კამარჯვებას იმ საშინელს ერეტიკოსზედ, რომელსაც ერქვა გუსი და რომელმაც აღელვა პაპსა და კატოლიკებზედ დიდძალი ხალხი და სწავლულნი ევროპაში.

მთელი ქალაქი დღესასწაულობს, კათოლიკობა მისცემია ღვთის დიდებას და ქებას. უმთავრესს ეკლესიაში არის შეყრილი მთელი დიდებული სამღვდელოება, სადაც იმყოფება პაპის მაგიერი, პაპის მოადგილე პირველი კარდინალი, რომელმანც მისცა გუსი წამებას... დუქანბაზარი დაკეტილია. ხალხი მთლად გახვეტილია ტაძრებსა და ეკლესიებში.

გათავდა წირვა. პროცესია სამღვდელოებისა, მეფეთა და მთავართა, დიდებულთა და ყოვლ-რიგი ხალხისა, ჯარებისა და მათის სამკაული წინამძღოლობით დაიძრა უმთავრესი ეკკლესიიდამ და გასწია ქუჩა-ქუჩა ღვთის ქებითა, გალობითა და დიდებითა. ქალაქში არის დიდი შედლუხი ხალხისა და ჯარების ყიჟინა. „ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა"! ისმის საღმრთო ხოროსაგან. მთელი ხალხი არის მოცული რაღაცა იდუმალი მოწიწებით და საღმრთო დიდებით.

უცებ, მიმავალს პროცესიას ესმის ერთი საოქრომჭედლოდამ ხმაურობა და მუშაობა. დუქანი ღიაა. დუქანში ზის ერთი მოხუცებული, წელში მოხრილი კაცი და ერთიც ლამაზი ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი. ისინი ადვანან თავის სამუშაოს და ყურსაც არ უგდებენ, რა ხდება გარეთ.

მიმავალი პროცესია გაოცებული შეჩერდება. ის არის აწამეს ერეტიკოსი, დასწვეს სამაგალითოთ, საქვეყნოთ, და აქ უცებ კიდევ ერეტიკოსნი!..

მღელვარებას კარდინალისა, მთავართა და დიდებულთა აღარა აქვს საზღვარი. ხალხი მზათ არის გაფლითოს ეს საშინელი სჯულის—და დამარღვეველნი.

ამ ორთავე წესის დამარღვეველთ შეიპყრობენ. გამოდგება, რომ ორივენი არიან ებრაელნი: მამა და შვილი, რომელნიც მართლულობენ თავის დანაშაულზედ თავს მით, რომ ეს დღესასწაული და დიდება ჩვენ სრულიად არ შეგვეხება რადგან ჩვენ ქრისტიანეები არა ვართო.

განრისხებული კარდინალი მისცემს მათ სამსჯავროს. სამსჯავრო

---

...დნაა საჭირო და ეგ საუნჯე, ეგ ღვთიური და უზენაესი ძალა აბა „თეატრს" სად მოეპოვება და ამის ღირსს ვინ გახდისო, კიდევ დაცინვით იტყვის მკითხველი... ნიჭი და ცოდნა!... დიაღ, ძნელი საპოვნელია ეგ ძვირფასი მადლი ესლანდელს ინტელიგენციაში, მაგრამ საქმე არც ისეა, როგორც ჰგონიათ. ჯერ ერთი რომ ჩვენი ნორჩი მკითხველი საზოგადება ისე მაღლა არა სდგას განვითარებითა, რომ აწინდელს ინტელიგენციას არ შეეძლოს მიაწოდოს მას გონების საზრდო და ცოტად თუ ბევრად მოთხოვნილება დაუკმაყოფილოს. მეორედ კიდევ, თუმცა მართალია, რომ ბევრი გარემოება ხელს უშლის გაზეთის აყვავებას, მაგრამ თავიდამ მოშორება ზოგიერთა მიზეზებისა შესაძლოა, მხოლოდ საჭიროა მეცადინობა და გონივრული შრომა.

ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, რაღაცა უცნაური ზნეობრივი არეულ-დარეულობაა, რაღაც უთავბოლობა და ერთმანეთის გაუგებრობა არსებობს. მე მოგახსენებთ ეგრედ წოდებულ ინტელიგენციაზედ, მოწინავე საზოგადოებაზედ.

აქამდე ჩვენს ინტელიგენციას ნახტომი შეშლილი აქვს და გზა-კვალი დაკარგული. ვინც კი არის, ყველა თავისაკენ მიიწევს. ყველას ჰსურს თავისი თავი კერძად გაიხადოს, ბომონად იწამოს. ეს კიდევ არაფერი: უბედურება უფრო ის არის, რომ ხშირად ამ თავმოყვარე კერპს საკუთარის საქმისა არა ესმის რა, თავისი ძალა და ღონე ვერ გაუზომია და გაუსინჯია, ვერ დაჰკვირვებია და ვერ შეუგნია—რის გაკეთება შეუძლიან და რისა არა, ვერ მიხვედრია, რომელ გზას უნდა დაადგეს, რას უნდა ემსახუროს. დიაღ, თითქმის ყველა ჩვენი ინტელიგენტი გზა დაბნეულია და ნამდვილს „ალის-ბალისს" მისდევს. თითოეულს ჩვენგანს სხვისა არა სწამს—რა, მარტო თავის თავი მიაჩნია ცხოვრების ბურჯად და ღერძად და სხვებს უნდობის თვალით უცქერის. ამიტომაც არის, რომ ჩვენში საზოგადო საქმე მხოლოდ ღვთის ანაბარად მიჩანჩალებს, ნელ-ნელა ლოღიალებს, თითქო დიდის გაჭირვებით აუკრეფია ფეხი და ეს-ეს არის თავ-პირს დაიმტვრევსო... აბა, მართლა მიიხედ-მოიხედეთ, დააკვირდით—რა განხეთქილება არსებობს მწერლების შორის, რა არეულ-დარეულობა, რა „ზნეობრივი ხაოსი"!... ეს „ზნეობრივი ხაოსი" ისე ღრმად გასჯდომია ჩვენს ინტელიგენციას ძვალსა და რბილში, რომ ზოგიერთებმა ზურგიც კი შეაქციეს მშობლიურს მწერლობას —არ გვიწამეთ, უარ ჰყავით ჩვენი დიდი ნიჭი, ჩვენი პირველობა და ახლა თქვენ იცითო... მიჰყოლიან და მიუყაითად იღვწიან... მაგრამ სად? ვისთვის?.. რისთვის?.. დიაღ,

Когда же минетъ это время,
Весь этотъ нравственный хаосъ?

ჩვენ ვსთქვით, რომ ქართველ ინტელიგენციას არა აქვს გაზომილი თავისი ძალ-ღონე, არ იცის რას მოჰკიდოს ხელი, რა გააკეთოს—მართლაც და, მეტად ხშირი მოვლენაა და თითქმის საყოველთაო ამბავიც, რომ ქართველი ინტელიგენტი ყველა საქმეს ერთ-ნაირად ებღაუჭება, ყველაფერს ხელს ავლებს და იმას კი არ დაგიდევს, ღონე შესწევს თუ არა, მომზადება და გამოცდილება აქვს, შეასრულოს საქმე, თუ არა. აიღეთ მწერლობა და კერძოთ რედაქტორობა, რას შეხვდებით?—პირველად იმას, რომ, თუ ვინმე მწერალია, უეჭველად ჰგონია, რომ ყველა გვარი მწერლობა შეუძლიან და ლიტერატურის მეუფეს ჩემთვის უხვად მოუნიჭებია ყოველ-ნაირი ნიჭიო. მოჰყვება ქართველი მწერალი, ვსთქვათ პოეტი, და თავის ქერქში როდი დგება: ყველას უნდა მისწვდეს, ყველას მოსტაცოს თავისი მადლი-ისტორიას, ბუნების მეცნიერებას, ფილოლოგიას, არხეოლოგიას და სხ. და სხ. რასაკვირველია, ამ უთავბოლობას ის მოსდევს, რომ კარგი და მართლაც და ნიჭიერი პოეტი მეტად ჯავლაგი ფილოლოგი გამოდის, მშვენიერი პუბლიცისტი უვარგისი პოეტი დგება და ბევრი სხვა ამისთანა... მეორედ, როდი იციან და, სამწუხაროდ, არც უნდათ შეიტყონ, რომ ლიტერატორის სახელის მოსახვეჭად მარტო სურვილი და წადილი არა კმარა. ნიჭს რო თავი დავანებოთ, რასაკვირველია, სალიტერატურო მოედანზედ დიდად საჭიროა მომზადება, სწავლითა და ცოდნით აღჭურვა. ჩვენში კი ლიტერატორის ხელობას სულ სხვა ნაირად უცქერიან. ვსთქვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუჩენს ორთავეს საკირეში დაწვას.

მინამ ამ განაჩენს მოიყვანენ აღსრულებაში, ურია ისურვებს კარდინალის ნახვას, რომელსაც ჰპირდება აცნოს დიდი საჭირო იმისთვის საიდუმლო.

კარდინალი ნახავს იმას საპყრობილეში.

—შენ ერთად ერთი შვილის მეტი არა გყავდა, მგონია, დიდებულო კარდინალო?—ეტყვის ურია.

—მერე რა გ[illegible]ვს მაგითი მითხრა, შერისხა კარდინალმა გაკადნიერებულს ურიას.

—მოგიკვდა?

კარდინალს დაუარა გულში ცეცხლმა.

—დამეკარგა და, არ ვიცი, მერე რა მოუვიდა.—მისცა კარდინალმა უსიამოვნოდ პასუხი.

—მკვდარი არ არის, ცოცხალია... მაგრამ შენ მე მკლავ და კი არ იცი, რომ ჩემს მეტმა ქვეყანაზედ არავინ იცის, სად არის შენი ასული.

კარდინალი განცვიფრდა. მის გულში გამოიღვიძეს იმედებმა. ის იყო ერთად ერთი იმედი ამისა სიცოცხლეში. ახლა ჩნდება კაცი, რომელმაც იცის, სადაც არის ისა.

ის მოულბება ურიას. აღუთქვამს მიტევებას, თუ უჩვენებს თავის შვილს.

ურია ჰპირდება, მაგრამ გადაწყვეტით არას ეუბნება. იცის, რომ შვილის გამოჩენა ამას არას უშველის. შვილს ჩაიბარებს და ამას მაინც საკირე არ ასცდება.

მოდის დღე მათის დაწვისა.

შორს, საპყრობილიდამა სჩანს, როგორ უკეთებენ საკირეს, გარს დასტრიალებენ ჯალათები, ერთუმიან გარს ჯარები.

ურია თხოულობს, რომ სიკვდილამდის ერთი კიდევ უჩვენონ თავისი ასული. მტარვალნი აჩვენებენ.

აქ უცებ ხდება უცნაური სცენა.

—შვილო, ეტყვის ურია, შემდგომ, როდესაც ორივენი მორჩებიან ერთმანერთის ხვევნასა და მისალმებასა.—შენ შეგიძლიან გადარჩე სიკვდილს.

ქალი გაოცებით შეჰხედავს.

ეს, ბავშვი მოეპარათ ბოშებს ბოშებისგან გამოეხსნა ურიას და გაეზარდნა შვილად.

—როგორ? რიო?—ჰკითხავს ქალი განცვიფრებული. მე? ამათ?!

—დიახ, შენ, მაგათ... შენ არა ხარ ჩემი შვილი. შენი ღვიძლი მამა არის... პაპის მოადგილე, ხვალინდელი პაპი, მფლობელი მთელი ევროპისა, მთელი ქრისტიანობისა... უთხარ, გამოეცხადე, და სამარის კარიდამ გადახვალ დაუსრულებელს ნეტარებაში... გახდები მთელი ქვეყნის ბატონი...

ქალი არ იჯერებს დიდს ხანს, და როდესაც ჰნახავს როს მამა აღარა ჰხუმრობს, უცებ შეეკითხება:

—შენა? მე რომ გადავრჩე, შენ რაღას გიზამენ?...

—მე... მე ურია ვარ... მე მოხუცი ვარ... მე სიკვდილი კიდეც მომიხდება...

ქალი ჩაფიქრდება... ორ ნაირი სურათი იხატება მის თვალ წინ: ერთ მხრივ საშინელი საკირე და უდროვოთ სიკვდილი... მეორეს მხრივ სიცოცხლე, გადარჩენა საშინელი სატანჯველისა, ბედნიერება, დიდება და ნეტარება ცხოვრებაში. მის გულში ხდება ბრძოლა...

აქ უცებ დაურეკავენ კარს სასიკვდილოთ წასასვლელად...

შვილი და მამა ეცემიან ერთმანერთს, ჩაეკვრიან გულში.. მერმე ქალი გამოვარდება ხელიდამ... გადის მტარვალებთან და მიმავალი ეძახის...

—შენა ხარ ჩემი მამა... შენ გამზარდე, შენ შემიტკბე... მაჩვენე ნამდვილი მშობლიური ალერსი... უშენოთ მე არა მყავს მამა... მე არ მინდა მამათ... მესისხარნი... საკირის ამგებელნი... მე უნდა მოვკვდე შენთან... მე შენთან მოვკვდები!

და გაჰრბება ჯალათებთან.

დადგება დაწვის საათი. ურიას და მის ქალს მიიყვანენ ანთებულს საკირესთან. ცეცხლი ბრიალებს და ეთამაშება ზეცას. ქალი ცეცხლის დანახვაზედ შეჰკრთება. ფერი ადევს ნაცრისა. რამდენიმე მინუტი და ის უნდა გადუშვან ანთებულს საკირეში.

მამას მიიხმობს კარდინალი ცალკე, და ელაპარაკება: სთხოვს, ნუ ჯიუტობს, უთხრას, სად არის იმისი ასული. ურია არ ეუბნება.

აგერ დაჰკრეს სასიკვდილო საყვირსა მოდიან ჯალათნი ურიის წასაყვანათ.

იმას ჯერ კიდევ არ უთქვამს, სად არის ასული კარდინალისა. ის მდუმარებს. დრო მიდის. კარდინალს ეკარგება სასოება. ის იჩოქებს ურიის წინ და საშინელი ცრემლით შესტირის-უთხრას თავისი ქალის ამბავი, უჩვენოს იმისი ბინა.

—აბრძანდით, კარდინალო და ეხლავე მოგახსენებ.

კარდინალი გახარებული, დაიმედებული, ადგება.

აგერ სტაცეს ხელი ურიის ქალს და მიჰყავთ ჯალათთ საკირეზედ... შემკრთალი, მუხლებ მოდუნებული ქალი ძლივს მიჰყავთ საკირის კბეზედ.

—სთქვი, სთქვი, ეუბნება ხვეწნით და თან მოთმინებიდამ გამოსული კარდინალი,—მითხარ, სად არის ჩემი ასული... ჩემი იმედი... ჩემი სასო... ჩემო სიცოცხლევ...

—ეხლავ... მოიცადე.. ეხლავ... ეუბნება ურია,—და თან გაჰყურებს საკირეს...

უცებ მოიღო საკირემ დგრიალი, დაალო საკირის ალმა პირი და შთანთქა ასული ურიისა, რომელიც შეუბრალებლათ გადააგდეს ჯალათთა

—აგერ, შენი ასული!! —შესძახა საშინელი ჯოჯოხეთის ხარხარით ურიამ... ასტეხა ეს საშინელი ხათხათი და სისწრაფით გასწია საკირის კიბეზედ, ჯოჯოხეთისავე ძახილით: «მაგას გასწავლიდათ ქრისტე?!.. ეგ არის თქვენი ქრისტიანობა!?"—და მინამ ვინმე გონს მოვიდოდა, ის თვითონ გადეველო საკირის ალში.

კარდინალი დღეცა უგონოთ.

ჩ. მ.

## სიზმარი

ისტორიული ამბავი

შაჰ-ისმაილი და შაჰ თამაზ სპარსთა ხელმწიფენი ექვსჯერ შემოესივნენ ქართლს საქართველოს ბოლოს მოსალებათ იმ დროს, როდესაც ქართლში მეფობდა სახელოვანი და საოცარი თავის გაუტეხაობით მეფე ლუარსაბ პირველი, მაგრამ ექვსჯერვე ეს სახელოვანი სპარსთა ხელმწიფენი იქნენ ლუარსაბ მეფისგან დევნილნი საქართველოდამ.

რაკი ლუარსაბს საკმაო ჯარი არა ჰყავდა აურებელ სპარსთა ჯარების პირდაპირობის გასაწევად, ის იწყობდა, როგორც იტალიანები ეძახიან, გვერილიასურს ომსა. ის ჰყოფდა თარეშებად ჯარს, ეს თარეშნი ესხმოდნენ ყოველგან სპარსთა ჯარებს და უღებდნენ ბოლოს, სადაც კი მოასწრებდნენ ნაწილ ნაწილად. ასრე რომ ან უნდა ემოძრავნათ სპარსთა დიდი ჯარებით, ან არა და ნაწილ-ნაწილ მოძრაობა მათი ხდებოდა შეუძლებელი. ვერც ერთს ხეობას, ვერც ერთს სიმაგრეს მთების მხრივ ვერ შეესოდნენ. ყველგან იყო ლუარსაბ, ყველგან უხვდებოდა მისი ჯარი, ყველგან ქართველთა თარეშობა სცემდა მტერს შიშის ზარს. ლუარსაბ იყო გაუტეხარი, ლუარსაბ იყო დაუცხრომელი: დღეს ჰხედავდნენ იმას თბილისთან, ხვალ დუმანისთან, ზეგ სამშვილდეს, მერე მუხრანს, გორს, ლორთისკარს, —სიტყვით საითაც კი დაიძროდა სპარსთა ჯარები.

ლუარსაბმა გააცუდა განზრახვა სპარსთა ხელმწიფეებისა: როგორც საშინელი შაჰ-ისმაილ, ეგრეთვე სახელოვანი შაჰ-თამაზ, ელდა და ზარი მთელი აზიისა, მძლეველი ოსმალოთ, იძულებულ იყვნენ გასცლოდნენ პაწაწინა ქართლის მეფეს და დაეთმოთ იმისთვის ბრძოლის ველი.

ბოლოს შემოსევის დროს, როდესაც უფრო ყველაზედ ძრიელ შეაიწროვა ქართლი შაჰ-თამაზმა,—მაგრამ მაინც გაიდევნა ლუარსაბისაგან, შაჰ-თამაზმა გაამაგრა თბილისი, ჩააყენა შიგ დიდ-ძალი ჯარი, დასვა ყაზახსა, შამშადილს თავისი ხანები, დასვა განჯას თავისი სულთანი, შავერდის ელათ; ჩააბარა შავერდის თბილისიც, ყაზახიც და შამშადილიცა, და მისცა შემწედ არეზს აქეთი ჯარები ლუარსაბის საწინააღმდეგოთ.

გასვლა შაჰ-თამაზისა, და მისევნა ლუარსაბისაგან თბილისსა და მის მი-

---

ვისმე აჭქავდა ხელი, ყური მოჰკრა სადმე, რომ ლიტერატორობა სასიქადულო და დიდ პატივსაცემი მოღვაწეობაა და გაიჩალხა კიდეც საქმე სალიტერატურო ასპარეზზედ სასტომად... გამოჰხტის კიდეც! და შორს რომ არ წავიდეთ, რამდენია ეხლა ჩვენში ცოცხით მისაგავი მწერალი!...

აიღეთ ახლა რედაქტორობა. საზოგადო ვითარება აქაც თავს იჩენს, უთავბოლობა და ძალ ღონის შეუგნებლობა აქაც ხმა-მაღლა ჰღაღადებს. ყველა, ვინცინდა ვინა მზად არის იტვირთოს ასეთი მძიმე მოვალეობა და შრომა, როგორიც რედაქტორობაა. ვისაც კი კალმის დაჭერა შეუძლიან და თითო ორიოდა რისამე ჯღაბნა ეხერხება, უეჭველია, საღერღელიც აშლილი აქვს, რედაქტორობას და გამომცემლობას ხელი მოჰკიდოს და საზოგადოებას წინ გაუძღვეს!... სამწუხაროა, რომ სხვა წრეში, აი თუნდა საგლეხო მუშაობა ავიღოთ, თოხსა და ბარს ისე კადნიერად არ ეკიდებიან, როგორც ინტელიგენციაში სალიტერატურო კალამს და მეთაობას ეპოტინებიან!

მეტადრე ეგრედ წოდებულს ახალ-თაობას ძრიელ აქვს გახსნილი ამ მოთავეობის მადა. ვინც კი ბუდიდამ გადმოფრენილა და ახლად ფრთებში გამართულა, უეჭველად იმ წამსვე მოთავეობას და პირველობას ჩემულობს. მოვა სანჩვენოში და იმ ერთი მსუნაგი მერისა არ იყოს, შინაურებს დაუგდერება და აწიოკებს... ესა და ეს მირის უნდა დავამხო და შევმუსრო, ამას დავლეწავ და იმას ვიდევ მისთან გავასწორებო! ჩნდება ავტორიტეტის უარყოფობა, პატივცემულ მოღვაწეების შეურაცხება, თითქო პირველობას და მოთავეობას ვინმე მაშინ დაიმსახურებდეს, როცა ცარიელის სიტყვით სხვას ამცირებს და თავის თავს კი ადიდებს! ამ ბოლო დროს ხომ უარ-მყოფელობა ძრიელ გალაღდა და აქამდე აიწყვიტა აღვირი, რომ, ცოცხლებს ვინღა სჩივის, მკვდრებსაცა კი არ ასვენებენ.

ლიტერატურა ამერიკის უდაბურს ტყეს მიაგავს, სადაც წითელ-კანა ინდიელი თავის მოხუცებულ მშობლებს სჰკლავსო, ამბობს ერთ ადგილას ენა მახვილი ჰეინე. მართალიც არის, სადაც ლიტერატურა აღორძინებულია და წარმატების გზაზედ სდგას, სადაც სწავლა და განათლება სდუღს და გადმოდის, იქ შვილებს რჩებათ ზურთი და მოედანი, იქ, იმ ბედნიერს ქვეყანაში ახალი თაობა ბრძანებლობს და მოთავეობს.

იქ ძველი მიმართულება ჰქრება, თუ გნებავთ „იჩმუკა" და ახალი ჰყვავის, ძალ-ღონით იმოსება.

მიზეზი ადვილად მისახვედრია. თითოეული ახალი თაობა უფრო მეტის სწავლითა და გამოცდილებით აღჭურვილია, რადგანაც ნაანდერძევი წარსული სწავლა მეცნიერება შეთვისებული აქვს და ახალი განათლებაც ხვედრად რგებია. ჩვენში საქმე სხვა ნაირად დატრიალდა და, თუმცა ახალგაზდობამ ჯერ ვერაფრით ისახელა თავი, მაგრამ ჰეინეს თქმისა არ იყოს, ზოგიერთა შვილებს მაინც მამა გაჰცილებიათ, მამები დასჩაგრიათ. მადასი და სურვილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ თუმცა უძღების ვერაც იყოს, მაინც შვილების სუსტი სტომაქი ვერ მოინელებს ამ მძიმე საჭმელს... ამას არ დავიდევენ და ისევ უცნაურს სანოვაგეს ეტანებიან. დიახ, ბატონებო, ახალი მწერალი თუ კალამს აიღებს, უმეტეს ნაწილად აზრადაც აქვს, რომ „მოხუცი მამა შესჭამოს", ანუ ჩვენებურად ვსთქვათ, ტახტიდამ გადმოაგდოს ისა, ვისაც თავისი ნიჭითა და სანქრძლივი შრომით პატივი შეუძენია და მადლობის ღირსია. არც ახალი მოძღვრება და მიმართულება და არც სხვა რამე! თითქო ახალ თაობა მარტო სახელი იყოს და არა სახრავი!... განა ეს ამბავიც არ ჰღაღადებს-თუ რა ზნეობრივი აღრევა სუფევს ჩვენს ინტელიგენციაში!?...

როგორც ჰხედავთ, სურათი, პირველ შეხედვით, უნუგეშო და ბევრი გარემოება, რომელიც თვით ლიტერატურაში და ლიტერატორებში მოიპოვება, "თეატრს" უძნელებს თავისი საქმე რიგიანად წამართოს. მაგრამ მაინც იმედი არ უნდა დავკარგოთ. შეიძლება განახლებულმა გაზეთმა ხელის შემშლელი მიზეზები თავიდამ აიცილოს, თუ კი წამალს დასდებს იმ სენს, რომელიც მხოლოდ მკრთალათ და გაკვრით აღვნიშნეთ. მართალია, მეჩხერით და ეკლით სავსე მოედანზედ დიდი რამ სანუგეშო არა მოიპოვება რა, მაგრამ ლაჟვარდს სივრცეში შორიდამ მაინც იმედის სხივი აშუქებს არემარეს.—

Сине, свѣже, разнообразно,
Что то видно впереди!....

ეს იმედი არის მოზარდი ჩვენი თაობა.

ნ. მუჩაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოზედ, შაჰის ჯარების შესამუსრად ერთი იყო.

ეს გაიგო შაჰვერდი სულთანმა, შემოიკრიბა არეზს აქეთი ჯარები და წამოვიდა ლუარსაბზედ.

შაჰვერდი სულთანი დიდძალი ჯარით და ლუარსაბ მეფე თავის ჯარებით შეიყარნენ პირის პირ გარისს. მეორე დღეს უნდა ყოფილიყო დიდი ბრძოლა. მეფე, მისი ამალა და ჯარნი იყვნენ დიდს სამზადისში ხვალინდელი დღისათვის.

დაღამდა. მეფე მიეცა მოსვენებას. იმან არ იცის რა არის შიში. ის მოუთმენლად ელის მტრის ბრძოლას. დარწმუნებულია მტრის დამარცხებაზედ. სძინავს მეფეს და ჰხედავს სიზმარს არის ცხარე ბრძოლა. იბრძვიან მედგ გმირათ ქართველნი. ისმის იარაღის ჩახუნი, კვნესა დაჭრილთა და მომაკვდავთა, ძლევისა და ბრძოლის ყიჟინა, კბილთა ღრჭიალი, ხვეწნა დანდობისა, გმინვა განწირულთა. იბრძვის მეფე თავ განწირვით, მოუღალავათ. იმან დაამტვრია მტერს თავზედ ყველა რაც იარაღი ჰქონდა. მეფე იბრძვის უიარაღოთ. გაცხარებული იბრძვის ცხენის მკერდით. მისი უცნაური ცხენი, ვისაც ცხენს ჰკრავს მკერდს, აქცევს მიწდრიანად და გადადის ზედ. აგერ შემუსრა მეფემ ამ გვარად ერთი უკეთესი სარდალი სპარსთა მაჰმად სულთანი. აგერ გასდევს ვიღასაც ცხენ-და-ცხენ შეიჭრა მარტოკა შიგ შუა გულს მტრის ჯარში. უცებ ცხენს ჩაუვარდა ფეხი გვალვისგან გახეთქილს მიწაში. ცხენი წაიქცა. გადმოვარდა მეფე. მეფეს ესხმიან მტერნი. აგერ დაუშვა იმის თავს მახვილი და მეფე იქმნა გაგმირული. მეფე მოკვდა მტრის ხელით. მაგრამ მოიკლა მის მკვლელიც. ქართველთ აჰკაფეს ის ლუკმა ლუკმა. ჰხედავს ამას მეფე ისრე ცხადათ, ისრე ნათლად, რომ თითქო მართლა ყველა ესე, სიზმარში კი არა, ცხადად ხდებოდეს. სიტყვით ყველა ამას ჰხედავს ყოველი წინასწარი გრძნობის ნიშნებით. ამასთანავე ჰხედავს ცხადათ, რომ ამ ბრძოლაში იმარჯვებენ ქართველნი. სპარსნი, უწყალოთ ძლეულნი, გარბიან.

გათენდა. გაიღვიძა მეფემ.

მეფის სახეზედ იხატება კმაყოფილება და სიამოვნება ის სრული დარწმუნებულია, რომ ეს სიზმარი ნანდვილი წინასწარია მისა, რაც უნდა მოხდეს იმ დღეს.

მეფემ მოიხმო თავისი შვილები, სხვათა შორის სახელოვანი დიდი სვიმონ, კათალიკოსი, ქართლის დიდებულნი და უბრძანა.

— დღეს ჩვენ გავიმარჯვებთ. მტერი იქნება შემუსრვილი, საქართველო განსაცდელს გადარჩენილი. მაგრამ მე კი, თქვენი მეფე მოვიკვლი აქ ცხარე ბრძოლაში. ჩემს სიკვდილს შემდგომ ხელმწიფობა ეკუთვნის ჩემს შვილს სვიმონს, რომელსაც უნდა ყველა ისრე ემორჩილებოდეთ, როგორც მემორჩილებოდით მე. ჩემს ტირილსა და გლოვნას თავი დაანებეთ. იზრუნეთ ქვეყნისთვის ეცადეთ ქვეყნის პატრონობას.

აქ უბრძანა კათალიკოზს, რომ ეხლავე ეკურთხებინა სვიმონ მეფედ.

სვიმონ აკურთხეს. ააგებინა თავისთვის წინადვე ანდერძი და უბრძანა, როგორცა და სადაც დაემარხათ იმისი გვამი. შემდგომ უბრძანა გამზადება საომრად.

უბრძანა, მაგრამ, ამისთანა დიდებული მეფის დაკარგვა იყო ყველასათვის საშინელი დასაკლისი. ყველამ ერთხმივ დაუწყეს ვედრება, რომ დღეს მორიდებოდა მეფე ბრძოლას, რაკი ამისთანა სიზმარი ენახა; გასცლოდა მტერს და შეჰბმოდა შემდეგ.

— როგორ!-შეიტია მეფემ. - მე, რომელსაც თავის დღეში ხონთქრისა და ყეენისთვის ზურგი არ მიჩვენებია, ერთს უბრალო ყაჯარს*), ყეენის მონას, უნდა გავექცე?

სიზმარი ასწავებდა იმ დღეს გამარჯვებას. და მეფემ არჩია თავისი სიკვდილი გამარჯვების დაკარგვას. იმან გასწირა ქვეყნის ხნისათვის თავი.

გამართლდა მეფის სიზმარი.

შეიქმნა ბრძოლა საშინელი. ქართველნი ლომებრ მიეტივნენ სპარსთა. შმაგი სვიმონ, როგორც ეძახდნენ ლუარსაბის შვილს სვიმონს, მედგრულათ იბრძოდა და დიდი მოსაზრებით განაგებდა ომს. დამარცხდნენ სპარსნი და გარბოდნენ ზარდაცემულნი

მაგრამ მოიკლა მეფე ლუარსაბ. მოიკლა სწორეთ ისრე, როგორც ენახა სიზმარში. მოიკლა მის მკვლელიც, სწორეთ იმ გვარად როგორც მოხდა სიზმრად.

მოიკლა მეფე მაგრამ მის სიკვდილით გადარჩა სამეფო.

ზ. მ.

## სახალხო ლექსი

1

ჩვენი ბატონი ირაკლი
ერთი პატარა კაცია:
ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი,
გაჰკრა ხელი და გაჰქრა.

2

კიდო თავსა დარდს ნუ მისცემ,
გულს ჟანგათ მოეკიდება,
წაგიღებს საფიქრებელი,
ცეცხლივით მოგეკიდება.

3

ხრამზანსა და იორსა
დავყურებ შირსა და ულაპს ვუზამ,
ნეკით მკილდ ბოძალს მოვზიდავ
მაღლა ცას ვკრავ და ფეშხიტს უზამ,
ქვეყანას ზახილურს ამოვკრავ
ყირას დავსვამ, თავს პირს უზამ.
გაფი კარ ამის მომქმედი,
ქალო შენს ქმარს ტალას უზამ?!

— ბაყი თუ იყავ, სად იყავ,
რას არ ვიყავი ქმროსანი?
ქმარი თავს მადგა დევ-გმირი,
ლაღსრული, მოლაშქრ სანი,
ადგება ჩაჩქანს ჩაიცვამს,
გამოვა ქარქაშოსანი,
შენთანას ათასს თავს მოჰჭრის
შიშველა პერანგოსანი.

---

*) ყაჯარი ერთი ხალხია თურქმენის მოდგმისა.

## ბიბლიოგრაფია.

„ჯეჯილი“, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი.

ახალმა წელმა ახალი სიხარული მოგვიტანა „ჯეჯილის“ სახით. ეს არის ესლა მივიღეთ პირველი წიგნი ამ ჟურნალისა. გარეგნობით ქება არ უნდა, უკეთესად თითქმის არც ერთი წიგნი არ გამოცემულა ქართულს ენაზედ: ქაღალდი, სტამბა, სურათები. ერთი ორის გარდა, რომელიც ქართულს არა ჰგავს, საუცხოვოა. შინაარსის განხილვა ვერ მოვასწარით, მხოლოდ ისე საჩქაროდ გადავსინჯეთ და მაგაზედაც კარგის მეტი არა გვეთქმის-რა. ლექსები თუ პროზა, კარგად არის შერჩეული და უმაწვილებმა-კი არა, ამ ჩვენს მწერლობის სილატაკეში, დიდებმაც ური არ უნდა სთქვან ამ წიგნის გადათვალიერებისა მით უმეტეს, რომ აქ შეხვდებით არა ერთს უკეთესს ჩვენ მწერალთაგანს: აკაკის, თ. ი. ჭავჭავაძეს, თ. რ. ერისთავს, ზ. გოგებაშვილს. ქ-ბ. ეკ. გაბაშვილისას და სხვ. დიდის სიამოვნებით მოვიყვანდით აქ რამდენსამე სტრიქონს სიმშვენიერის ნიმუშად, მაგრამ სამწუხაროდ დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს. განვიმეორებთ-კი «ჯეჯილის» შესახებ წარწერას:

«იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გაიხარეო»! (ი. ღ.)

---

— ჩვენ მივიღეთ გრ. ჩარკვიანის და რ. ფანჯხავას ქართული წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული მხატვრობიანი „საერო კალენდარი“.

ამ კალენდარში პირველად მოთავსებულია საკალენდარო ცნობანი მართლ-მადიდებელთა. კათოლიკეთა და სომეხთა, მახსენებელი დღესასწაულები, მღვდელთა თვისსაყურადღებოდ კვირაობითა და საუფლო დღეებში საკითხავი სახარების თავები. მოქცეულია აგრეთვე იმ დღეების სახელწოდება, სადაც ქართველთა წმინდანების გვამი ასვენია, შესანიშნავი მოვლენანი საქართველოს ცხოვრებიდგან, დღეობები და იარმუკები, ტაროსი და სხვა ასტრონომიული ცნობები; რუსეთის იმპერატორის ოჯახი, სტატისტიკური ცნობანი, ევროპის სახელმწიფოთა შესახებ მოკლე ცნობები. ქალაქებისა და სოფლების სახელწოდებანი, ქართული წონა, ზომა და საწყაო; ფოსტა-ტელეგრაფი, კომერციული სამმართველოს და სამხედრო ბეგარის შესახებ საჭირო ამბები.

აგრეთვე დაბეჭდილია ხელმწიფე იმპერატორის მოგზაურობა საქართველოში, ქართული წიგნის მაღაზიის 15 წლის ანგარიში და ამასთანავე მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1) იესო ქრისტე მოციქულებითა, 2) წმ. ნინო, 3) ბოდბეს მონასტერი, 4) შოთა რუსთაველი, 5) პარიჟის მსოფლიო გამოფენა, 6) თბილისის სამოქალაქო სასახლე, 7) მთავარმართებლის სასახლე, 8) პლატონ იოსელიანი, 9) ჯარანცოვის ძეგლი, 10) კავკასიის გამოფენის სურათი, 11) სენკევიჩის პავილიონი, 14) გ. სუხდუკიანცის სურათი, 15) მეტეხის ეკკლესია და 16) ქართული თეატრის გეგმა.

## ნაწყვეტი

— ზიაროვმა დასტურა... ერთს ყმაწვილ ქალს ორასი თუმნის ბილეთები თბილისიდამ გაიქცა, წინა დღეს. ჩავიდა ბათომს და იქ ... ისა ცოლის ძმისა პრიკაშჩიკს დასტყუა ასი თუმანი, უთხრა სტამბოლს მივალო და სტამბოლის მაგიერათ ბაქოსკენ წამოსულა.

— გაზ. „მწყემსი“ გვაცნობებს, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში სულ ყოფილა 447 შეგირდი, რომელთა შორისაც ქართლ-კახელების რიცხვი შეადგენს 151 ს, იმერლების, გურულების და მეგრელების — 238 ს, რუსების — 30 ს, ბერძნების — 14-ს, ოსების — 5-ს. ამ წელში სწავლა გაუთავებია 28 შეგირდს.

კავკასიის მთავარ მმართებელმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა თბილისის ღარიბ მცხოვრებელთა სასარგებლოდ შესწირა 100 მანათი. (ი. ფ.)

— იმავე გაზეთში სწერია: სახელმწიფო ქონებათა მინისტრის შეკრებილ ცნობებიდამ სჩანს, რომ რუსეთში ყოფილა 170.000 დესიატინა ვენახი და წელიწადში 20,000,000 ვედრო ღვინო მოდის; ამ რიცხვში კავკასიაში ითვლება 100,000 დესიატინა და მოდის 11 მილლიონი ვედრო.

მოსკოვის სამოქალაქო მმართველობასა ჰყავს ამ დროს 285 მოსამსახური ჩინოვნიკი, რომელთა რიცხვში მარტო მწერლები 114 ყოფილა; საბჭოსა (დუმის) და სამმართველოს (უპრავის) კანცელარიის გასავალი 33,200 მანათამდის მიაღწევს წელიწადში. 19 დეკემბერს მოსკოვის სამოქალაქო საბჭოს ქალაქის მმართველობისათვის გადაუდვია 613,409 მანათი და 60 კაპ; პენსიებისთვის და ერთბაშად დასმარებისათვის 35,900 მანათი; ამ რიცხვში 20,083 მანათი დანიშნულია ქალაქის მოსამსახურეთა საპენსიოდ.

— სახელმწიფო ბანკის კანტორის საზარაფოდგან მოსკოვში, 17,000 მანათი გაუტანიათ კილასაც. ქურდები ექვსი ამხანაგით, დაპატიმრებულია.

---

# ნარევი

თუ როგორ მოქმედობს შიში კაცის ხმაზე. ერთს მილანელ ოპერის საუკეთესო არტისტთაგანს, გამოჩენილ ტენორს მარკონი-ს ამ დღეებში ძალიან ცუდი საქმე დაემართა. მარკონიმ მთელი თავისი ქონება, რომელიც მილლიონ ფრანკამდის მიაღწევდა, ერთს მილანის ბანკში შეიტანა. ეს ბანკი ამ დღეებში გაკოტრდა და ეს ამბავი მიუვიდა არტისტს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მღეროდა «გუგენოტებ»-ში „Lycenm“-ის თეატრში. მომღერალს უცფათ წაერთვა ენა და თუმცა რამოდენსამე ხანს უკან ისევ შეეძლო ლაპარაკი, მაგრამ „ხმა“ კი აღარ ჰქონდა. დოკტორებმა გაგზავნეს უბედური არტისტი ალგამის მინერალურ წყლებზე.

—

ერთმა „ექიმმა“ ჩიკაგოში, როგორც ამერიკელი გაზეთები გვაუწყებენ, ნახა ახალი ბაცილლი, ე. ი. „სიყვარულის ბაცილლი“, რომლის აცრაც დაუწყო ყველას, ვინც კი მსურველი იყო. მსურველი აცრისა ბევრი გამოჩნდა; მოხერხებული იანკი სარგებლობდა ამით და სტყუებდა ფულებს საწყალ შეყვარებულებს. ეს კიდევ არაფერი: აცრილები ისე საშიშრად და უცნაურად ავათმყოფები შეიქნენ, რომ მმართებლობამ საჭიროდ სცნო, მოესპო ამ „ექიმის“ სამკურნალო (!) მოქმედება და განიზრახა მისი დაპატიმრება. „საბედნიეროდ“ „ექიმმა“ წინადვე შეიტყო ეს ამბავი და სადღაც დაიმალა.

дозв. ценз. 31 Декабря, 1889 г. Тифлисъ. Типографія Гр. Чарквіани. რედ.-გამომცემელი ა. ნებიერიძე